სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 184

2022 წლის 29 სექტემბერი

ქ. თბილისი

ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად საგრანტო კონკურსში გამარჯვებული საკონკურსო განაცხადების დამტკიცების შესახებ

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, „ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 29 ივლისის N144 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1178805; 28/09/2022) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად" საგრანტო კონკურსში გამარჯვებული საკონკურსო განაცხადები:

ა) ნიკო კეცხოველის სახელობის სტიპენდია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით - YSS-22-129;

ბ) ალექსანდრე ქართველიშვილის სახელობის სტიპენდია ინჟინერია და ტექნოლოგიების მიმართულებით - YSS-22-030;

გ) ივანე ბერიტაშვილის სახელობის სტიპენდია სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით - YSS-22-066;

დ) დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია აგრარული მეცნიერებების მიმართულებით - YSS-22-101;

ე) დიმიტრი უზნაძის სახელობის სტიპენდია სოციალური მეცნიერებების მიმართულებით YSS-22-161;

ვ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით YSS-22-147;

ზ) ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სტიპენდია საქართველოს შესწავლელი მეცნიერებების მიმართულებით YSS-22-160.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა გამარჯვებულებმა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში არაუგვიანეს 2022 წლის 10 ოქტომბრის 18:00 საათისა უნდა წარმოადგინონ პირადი ანგარიშის ნომერი გაცემული ბანკის მიერ.
3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებულ გამარჯვებულებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არაუგვიანეს 2022 წლის 31 ოქტომბრისა.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ჯაბა სამუშია